პროექტი: ,, სამოქალაქო აქტივიზმი ახალგაზრდებისათვის სამცხე-ჯავახეთში“

თამარ აბრამიშვილის ინიციატივით, კავკასიური სახლისა და International Alert-ის პროექტის ,, ახალგაზრდული დიალოგი სამოქალაქო აქტივიზმისთვის ფარგლებში, განხორციელდა პროექტი : ,, სამოქალაქო აქტივიზმი ახალგაზრდებისათვის სამცხე-ჯავახეთში”.

პროექტის მონაწილეებმა ,,სამოქალაქო აქტივიზმი ახალგაზრდებისათვის“ ფარგლებში გაიარეს 4-დღიანი ტრენინგ კურსი. ტრენინგზე განიხილეს სამოქალაქო აქტივიზმთან დაკავშირებული საკითხები, პროექტში ჩართული იყო ადიგენის მუნიციპალიტეტში არსებული სამი სკოლა: ბოლაჯურის, სმადის და ხევაშენის სჯარო სკოლები. აღნიშნული სკოლებიდან შევარჩიეთ 20 მოსწავლე, რომლთაც შეავსეს აპლიკაციები და პროექტში მონაწილეობის განსაკუთრებული ინტერესი და მოტივაცია გამოხატეს.

აღნიშნული პროექტი არის საპილოტე, გარდა აღნიშნული ტრენინგისა პროექტში მონაწილე ახალგაზრდები გააგრძელებენ სამოქალაქო აქტივიზმის მიმართულებით პროექტების განხორციელებას და მონაწილეობას მიიღებენ სამოქალაქო განათლების მიმართულებით დაგეგმილ სხვადასხვა აქტივობებში.

ამასთან აღსანიშნავია, რომ პროექტში ჩართულნი იყვნენ ზემოთ აღნიშნული სკოლების სამოქალაქო განათლების პედაგოგები: თამარ აბრამიშვილი, მადონა ჭრელაშვილი და ქეთევან ენდელაძე, მათ ჩამოაყალიბეს საინიციატივო ჯგუფი და ამ მიმართულებით აპირებენ პროექტების განხორციელებას.

პროექტის ფარგლებში სკოლის მოსწავლეებმა შექმნეს საინფორმაციო ვიდეო და ისაუბრეს იმ საკითხებზე, რომლის შესახებაც ტრენინგების განმავლობაში მიიღეს ინფორმაცია, ასევე შექმნეს ვირტუალური ჯგუფი, სადაც გეგმავენ სხვადასხვა აქტივობების დაგეგმვას. მსგავსი ფორმატი იძლევა სკოლებს შორის ურთიერთობის დამყარებისა და გამოცდილების გაზიარების შესაძლებლობას.

პროექტის ფარგლებში გამოვაცხადეთ ესეების კონკურსი, რომელშიც მონაწილეობის უფლება ჰქონდათ ტრენინგებში ჩართულ ახალგაზრდებს. ესეს თემა იყო: ,, მოქალაქეობა ეს არის შესაძლებლობა, შეცვალო გარემო სადაც ცხოვრობ” .

21 დეკემბერს პროექტის დახურვა და დაჯილდოების ღონისძიება გაიმართა ადიგენის ახალგაზრდულ ცენტრში, ესეების კონკურსში გამარჯვებულ მონაწილეებს საჩუქრად გადაეცათ ბიბლუსის ვაუჩერები , ხოლო პროექტში ჩართული ყველა ახალგაზრდა დაჯილდოვდა სერტიფიკატით.

პროექტი განხორციელდა USAID-ის ფინანსური მხარდაჭერით.